პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 3 ივლისი № 153 (17796) ფასი 2 კაპ.

პარტია — ჩვენი მესაჭე

ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც მშრომელმა ადამიანებმა ლენინურ პარტიას მიანდეს ქვეყნის ხელმძღვანელობა და სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი კომუნიზმის იდეებს. ძნელი და რთული იყო პარტიის მიერ განვლილი გზა. მაგრამ ჩვენმა პარტიამ უკვდავყო თავისი სახელი იმით, რომ შეძლო დიადი საქმეებისათვის დაერაზმა და აღეფრთოვანებინა ხალხი. პარტიას ენდობოდნენ და მხარს უჭერდნენ მილიონები, და რაკი პარტია და ხალხი ყოველთვის ერთი იყო და არის, მათი სურვილი და მისწრაფებაც ერთიანია, ამიტომაც არასოდეს აშინებდათ და არც ახლა აშინებთ არც ერთი სიძნელე, წარმატებითაც ამიტომ წყვეტდნენ და წყვეტენ ურთულეს ამოცანებს.

ჩვენმა პარტიამ უკვდავყო თავისი სახელი იმით, რომ პროლეტარიატს დიდი ოქტომბრის რევოლუციის სანატრელი დღეები მოუტანა; ჩვენმა პარტიამ უკვდავყო თავისი სახელი, როცა მშიერმწყურვალი რუსეთი სამოქალაქო ომში მრავალრიცხოვან, გარეშე მტრებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოიყვანა; ჩვენმა პარტიამ უკვდავყო თავისი სახელი იმითაც, რომ ისტორიულად უმოკლეს ხანში მოახდინა უზარმაზარი ქვეყნის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია; ჩვენმა პარტიამ უკვდავყო თავისი სახელი, როცა დაამხო ფაშიზმი — კაცობრიობის მტერი; შემდეგ კი პარტია სათავეში ედგა ხალხის უდიდეს მუშაობას დანგრეული ქვეყნის აღდგენისა და ახალი უზარმაზარი გარდაქმნებისათვის.

პარტია იყო, არის და იქნება ჩვენი წინსვლის დიდი ორგანიზატორი, ჩვენი მესაჭე, ქვეყნად მშვიდობის, პროგრესისა და თანასწორობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯი. მისი პოლიტიკა მთლიანად შეესაბამება ხალხის ინტერესებს. მას არასდროს ჰქონია იმაზე უფრო დიდი მიზანი, ვიდრე წალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და სამსახურია!

საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ იამაყონ, რომ, ისევე როგორც წინათ, ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები. და ახლა, როცა გადავლახეთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარი, როცა იწყება შეჯიბრება ჩვენი პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, როგორც ყოველთვის, ჩვენს შემართებას ფრთას ასხამს პარტიის მხნე მოწოდება:

რაც შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ განვლილი წლების მანძილზე დაგროვილი კომუნისტური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება, სათანადოდ შეგვაფასოთ ყოველივე — კარგიც და ცუდიც, რაც გვაქვს მუშაობაში ქალაქად თუ სოფლად.

კვლავაც კრიტიკულად მოვეკიდოთ ყოველგვარ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ჩვენი მეურნეობის და პარტიული მუშაობის პრაქტიკაში. ჯეროვანი ყურადღება დავუთმოთ პარტიული მუშაობის ყველა მხარეს — კოლიტიკურს, ორგანიზაციულს, იდეოლოგიურს;

ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ მთლიანად და გადამარგებით შეგასრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ახალშუშამებელი ობიექტები, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

ამ მოწოდებით რომ მოგვმართავს, პარტია ყველა პირობას უქმნის ჩვენს ხალხს დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. ეს ზრუნვა გამოიხატება ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკით, რომელსაც მხარს უჭერენ და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა ადამიანები.

ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა რეგიონის ეკონომიკის აყვავებისა და განვითარებისათვის პარტიის უდიდესი ზრუნვის ნათელი მაგალითია საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხელი შეუწყო იმ პრინციპული კურსის განხორციელებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რომ დასახა საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღებისა და მუშაობის ლენინური სტილის აღდგენისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ამ მაორგანიზებელი გავლენის ნათელი მაგალითია მთელი რიგი მნიშვნელოვანი თაოსნობები, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იშვა.

გრძელდება შეურიგებელი ბრძოლა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, მომხვეჭელობის, დრომოჭმული მავნე ზნე-ჩვეულებების, რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ; კონკრეტული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, მეტი ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებს.

და ამ დიდ მუშაობას ყოველმხრივ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომლის პირადი თაოსნობითაც არაერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია მიღებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავების თაობაზე.

და თუ დღეს ტელევიზორის ცისფერი ეკრანი ანთია სვანეთში, საავტომობილო გზა მიემართება თუშეთის სოფლებისაკენ, სიცოცხლე უბრწყდება მთის სოფლებს, ბუგუნებენ ენგურჰესის მძლავრი აგრეგატები, საქართველოს ქალაქებში იზრდება საბინაო მშენებლობის ხარაჩოები, და თუ საქართველოს მშრომელებს აგერ უკვე მერვე წელია ხელთ უპყრიათ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების სიმბოლო — წითელი დროშა, — ყოველივე ეს პარტიისა და ხალხის ერთიანობის ნათელი მაგალითია, მოწმობს, რომ პარტია ყოველმხრივ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, ხალხი კი ამ ზრუნვას ახალი შემართებით, სოციალისტური შეჯიბრების ახალი გაქანებით უპასუხებს.

ახლა მთავარია შევამოწმოთ, გავაანალიზოთ საქმის ვითარება მუშაობის ძირითად უბნებზე, შევუფარდოთ ისინი წინათ დასახულ მიზნებს, განვსაზღვროთ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს მათი მიღწევისათვის, რათა სკკპ და საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობებს შევხვდეთ სერიოზული, საერთო პროგრესის განმსაზღვრელი წარმატებებით.

ამ მუშაობის მიმართულებები განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 28 ივნისს მოწყობილმა სამუშაო თათბირმა, რომელმაც თბილისის 87-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების მიმდინარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილა. დაიწყო დიდი საუბარი იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა საანგარიშო პერიოდში, თუ როგორ სრულდება კომუნისტთა განაწესი. ასეთი საუბრები ახლა ყველგან გაგრძელდება. **მთავარია, მკაცრი მოთხოვნა წავუყენოთ ყველას და არ გავაუბრალოოთ იგი.**

„რაც უფრო დიდებულია ამოცანები, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის პერიოდში წყდება, — გვასწავლის ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — მით უფრო დიდია კომუნისტური პარტიის როლი და მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალისა. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე“.

ყოველი ყრილობა ახალ ჰორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიას, მთავრობას, ხალხს. ასეთივე იქნება სკკპ XXVI ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. და არ არსებობს პარტიული ორგანიზაციებისათვის იმაზე უფრო აქტუალური ამოცანა, ვიდრე ის, რომ ყოველნაირად შეუწყონ ხელი მშრომელთა შემოქმედებითი აზრის აზვირთებას, საყოველთაო-სახალხო თაოსნობის განვითარებას.

დღე, ახალ არნახულ სიმაღლეს მიაღწიოს მშრომელთა ენთუზიაზმმა, რათა შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნოს ყოველი სადგი დღე, რომელიც მშობლიური პარტიის XXVI ყრილობას გვიახლოებს.

აქლიერებენ ტემპს

ბიათურა. (საკ. კორ. ო. ნიკაბაძე.) კალინინის სახელობის მაღაროში ზშრიად უხდებთ მანგანუმის მოპოვება გამონამუშევარ ველებში, რაც რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, სამთო საწარმოს კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია.

წელს აქ დაინერგა სამთო გამონამუშევრების ლითონის სამაგრებით გამაგრება. ეს სიახლე საწარმოს ყოველწლიურად 45 ათას მანეთს დაუზოგავს. აქ მუშაობა დაიწყო ელექტროსატვირთავმა მანქანამ, რომლის მწარმოებლობა ცალში 50-60 ტონა მადანს შეადგენს. გათვალისწინებულია აგრეთვე მცირეგაბარიტიანი ელექტროსატვირთავი მანქანის დანერგვა.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით მაღაროს კოლექტივი კარგ მაჩვენებლებს აღწევს. საკმარისია ითქვას, რომ კალინინელებმა განვლილ ექვს თვეში ათასობით ტონა მანგანუმი ამოიღეს და თვითღირებულების შემცირებით 150 ათასი მანეთი დაზოგეს.

ახლა მაღაროელები სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და აძლიერებენ წარმატების ტემპს.

გარჯა დაუფასდათ

ბათუმი. (საკ. კორ. მ. გორგიაძე). ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი წარმატებით შრომობს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს და ყოველი თვის ვეგმას გადაჭარბებით ასრულებს. წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,1 პროცენტი შეადგინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

საწარმოს მოწინავე მუშების თავდადებულ შრომას მაღალი შეფასება ეძლევა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნ, კომუნისტური შრომის დამკვრელი, მეაპარატე ც. დოლაბერიძე, მაგალითად, სამედიცინო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელით დაჯილდოვდა, ხოლო ი. ბარამიძეს უფასო ტურისტული საგზური მისცეს, მემანქანე რ. კოწმარიშვილმა კი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ახლა ბათუმელი ფარმაცევტები სკკპ XXVI ყრილობისთვის ემზადებიან და ისწრაფვიან მაქსიმალურად გამოიყენონ რეზერვები.

მეჩაიეთა გამარჯვება

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დიდმნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს 1 ივლისს აფხაზეთის მეჩაიეებმა, რომლებმაც სამშობლოს უსატაკეს ხუთწლიანი გეგმისა და დამატებითი დავალების ვადამდე შესრულება. მათ ჩაის ფაბრიკებს გაუგზავნეს 353,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი — გეგმაზე 600 ტონით მეტი.

ამავე დღეს მწვანე პლანტაციების მშრომელებმა გაანაღდეს მაისივნისის ვალდებულება — მათ უკვე 43.340 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი აქვთ მოკრეფილი. უდიდესი შრომის ნაყოფიერებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში თავი ისახელეს სოხუმის, გულრიფშის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების მკრეფავებმა.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის შეჯიბრება გრძელდება. (საქინფორმი).

ზესტაფონელთა მტკიცე სიტყვა

მევენახეთა და მეღვინეთა თელავის შეკრებაზე ზვრების მოუვლელობისათვის სამართლიანად გააკრიტიკეს არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. სამწუხარო ის არის, რომ არგვეთელები მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან ხაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ეს ამ დღეებში გამავლონა ერთობლივმა შემოწმებამ, რომელიც პარტიის ზესტაფონის რაიკომის პარტიულმა კომისიამ, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა და გაზეთ „ლენინელის“ რედაქციამ მოაწყვეს.

ვერც იმას დავფარავთ, რომ ვაზის მოვლა-პატრონობა სათანადო დონეზე არ არის სხვა მეურნეობებშიც. სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში, კვალითის, საბანოს, წიფლაკაკის, ძირულის, ილემის, დილეგაურის კოლმეურნეობებში არის ნაკვეთები, სადაც შეიმჩნევა სოკოვანი დაავადების — ჭრაქისა და ნაცრის ნიშნები.

ვენახი სახალხო დოვლათის წყაროა და მისი მოვლა-პატრონობა ყველას ვალია.

ჩვენ, ზესტაფონელ მევენახეთა წარმომადგენლები გულდასმით გავეცანით გურჯაანელთა ახალ პატრიოტულ ინიციატივას, ერთხმად ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ და გამოვთქვამთ რწმენას, რომ დავძლევთ სიძნელეებს, ყველაფერს ვიღონებთ, რათა შევასრულოთ ქვეყნისათვის მიცემული პირობა — მივაყოდოთ წელს სახელმწიფოს 27.100 ტონა ყურძენი.

გ. თუთარაშვილი — ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, დ. სარალიძე — ფუთის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, შ. ფოთოლაშვილი — კლდეეთის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე.

მინდვრის ფალავნები

ჯაფარიძელები იპატოვოელთა მეთოდით მუშაობენ

მცხუნვარე მზემ შირაქში, ივრისპირეთში და ტარიბანაზე პურის ყანები გააფიცხა, მექანიზატორებმაც ალარ დაყოვნეს და მინდვრად გავიდნენ.

თავიდანვე მუშაობა კარგად ააწყეს ჯაფარიძელმა მექანიზატორებმა. ისინი მინდვრის ნამდვილი ფალავნები არიან. მუშაობენ ჯგუფურად, ორგანიზებულად, სწორედ ისე, როგორც იპატოვოელი მექანიზატორები. თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია სამი კომბაინი, ოთხი ავტომანქანა, ორი ტრაქტორი, ორი გუთანი, ოთხი სათესელა, სხვადასხვა მისაბმელი მანქანა-იარაღი, ერთნი ყანას მკიან, მეორენი ნამკას აგროვებენ, მესამენი ხნავენ და სანაწვერალო კულტურებს თესავენ.

—იპატოვოელთა მეთოდის უპირატესობა ისიც არის, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკო ყოჩიაშვილმა, — რომ ყანის სიმწიფის მიხედვით ხდება ძალთა გადაადგილება, კოორდინაცია, რაციონალიზაცია.

გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე კარგად, აწყობილად ჯაფარიძელი მექანიზატორები მუშაობენ. მათ პირველებმა აუბეს მხარი იპატოვოელ მექანიზატორებს, უკვე მეოთხე წელია ამ მეთოდით მუშაობენ, ნამდვილად შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს. ასეა წლეულსაც. თითოეულ აგრეგატს 50-60 ჰექტარი ქერი აქვს მომკილი. სამუალოდ ჰექტარზე 27-28 ცენტნერი მარცვალი გალეწეს. მდგომარეობა კი ის არის, რომ ნაწვერალი უკვე მთლიანად მოხნულია. ითესება სასილოსე სიმინდი. ხვნა-თესვაზე, რომ იტყვიან, დღე და ღამეს ასწორებენ ახალგაზრდა მექანიზატორები მერთაზ ბენაშვილი, გიორგი ყოჩიაშვილი, პეტრე მუკერენკო, მეელუდ მესროპიანი.

სოსო ყარაგეზაშვილის კომბაინი შეჩერდა. საყვირის ხმა გაისმა. ავტოთვითმცლელს ითხოვდა. იქვე კალოდან სასწრაფოდ დაიძრა მანქანა. ის იყო კომბაინს მიუახლოვდა, რომ თავჯდომარეც მივიდა.

— რატომ კვალში არ მიჰყვები კომბაინს, — გაუწყრა ნიკო მძღოლს.

— კალოზე წყალი დავლიე, ძია ნიკო, — უთხრა შავტუხა ბიჭმა თავმჯდომარეს და თვალები ძირს დახარა.

— წყალი თან, მანქანაზე უნდა იქონიო. თუ შენ არა გაქვს თერმოსი, საწყობიდან გამოიწერე. ახლა იმის დრო არ არის, წყალზე ვირბინოთო, — დაყვავებით უთხრა ნიკომ და ახლა კომბაინერს მიუბრუნდა.

— სოსო, ხომ არაფერი გიჭირთ?

— არაფერი, — მოკლედ მოუჭრა სოსომ და სიჩქარის კოლოფი ჩართო...

— მართლაც რომ, არაფერი, — ეფიქრე ჩემთვის და თვალწინ წარმომიდგა ის, რაც ახლახან კალოზე ვნახე. თეთრ ხალათში გამოწყობილი თამარ. იაკობიშვილი გაზის ღუმელზე შემოდგმულ ქვაბებს დასტრიალებდა, როგორც შვილს, ისე მზრუნველად უმზადებდა სადილს მექანიზატორებს, მეკალოეებს. იქვე გვერდზე ოთახშია ეკთანი თინა ტალიაშვილი თავისი მედიკამენტებით, ბიბლიოთეკარი იზოლდა ბენაშვილი შესვენებისას წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს სთავაზობს.

კლუბის გამგე ვიკითხე.

— კლუბის გამგე შოთა ნატროშვილია, დღისით კომბაინზე მუშაობს, საღამოთი კი თავის საქმესაც ასწრებს. მას არც ერთი და არც მეორე არ შეეშლება, — ღიმილით გვითხრა პარტბიუროს მდივანმა ვლადიმერ გოგილაშვილმა.

გუშინ ჯაფარიძელთა ხორბლით დატვირთული ავტომანქანების კოლონა სახელმწიფო ბელელს მიადგა. ლაბორატორიულმა შემოწმებამ უმაღლესი შეფასება მისცა და მიიღო იგი სათესლე მასალად. ისინი წლეულს 3.000 ტონა მაღალი ხარისხის მარცვალს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსავალი რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში, 10-12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აიღონ.

მთამა თავეაცმა ნიკო ყოჩიაშვილმაც ასე იცის ხოლმე თქმა — მზემ თუ დაგასწრო, დაგჯაბნისო. მართლაც რომ, ასეა.

ალოობა ძალაში შედის. ყველას თვალი და ყური მინდვრის, ყანებისა თუ კალოებისაკენ არის მიპყრობილი.

წითელწყაროელები წლეულს 22.000 ჰექტარზე აიღებენ პურეულის მოსავალს. გადაწყვეტილია ალოობა 12-14 სამუშაო დღეში დაამთავრონ, აწარმოონ 75.600 ტონა მარცვლეული. აქედან 30.000 ტონას სახელმწიფოს მიჰყიდიან.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: კომბაინერი ლ. ყოჩიაშვილი მინდვრად; პურის მკა ჯაფარიძელთა მინდვრებში.
ჯ. ლომაძის ფოტო.

მოლაპარაკება დამთავრდა

1 ივლისს ნაშუადღევს კრემლში დამთავრდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰ. შმიდტი, ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

ლ. ი. ბრეჟნევმა შეჯამა გამართული მოლაპარაკების შედეგები და განაცხადა, რომ საჭირო, სასარგებლო მუშაობაა გაწეული. რა თქმა უნდა, დასძინა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჯერ არავის გამოუგონია ისეთი საწყაო, რომელიც პოლიტიკური მოლაპარაკების ეფექტს დაგვადგენინებდა. მაგრამ არის ერთი დიდმნიშვნელოვანი კრიტერიუმი — ეს გაწლაკეთ თანამშრომლობისა და თანხმობისადმი სწრაფვა. ვგონებ, იგი გვქონდა ამჟერადაც, ისევე როგორც წინა შეხვედრების დროს.

რა თქმა უნდა, ამასთანავე არც სიტუაციის გამარტივება გვმართებს: არის საკითხები, სადაც ჩვენი თვალსაზრისი არსებითად შორდება ერთმანეთს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ახლა ჩვენ უკეთ ვიცით ერთურთის პოზიციები, აღნშნა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კმაყოფილებით შემიძლია ვთქვა, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ორმხრივი ურთიერთობების საკითხებში ჩვენი ქვეყნების პრინციპული ხაზი ისეთივე რჩება, როგორც მოსკოვის ხელშეკრულებამ განსაზღვრა. ჩვენ ნათლად გამოვთქვით სურვილი განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ურთიერთგაგება საერთაშორისო საქმეებშიც, განვაგრძოთ დაძაბულობის შენელების კურსი.

იმედი მაქვს, განაცხადა დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ თქვენ, ბატონო კანცლერო, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონით მოსაზრებებს, რომლებიც აქ გაგაცანით. ჩვენი მხრივ, ვიფიქრებთ იმ მოსაზრებებზე, თქვენ რომ ბრძანეთ. მოდით, კვლავაც განვაგრძოთ კონტაქტები ჩვენ შორის დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა კმაყოფილება გამოთქვა ლ. ი. ბრეჟნევთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან გამართული მოლაპარაკების გამო. მოლოდინი, რომელსაც მოსკოვში ჩამოსვლას ვუკავშირებდით, თქვა ჰ. შმიდტმა, მთლიანად გაგვიმართლდა. დადასტურდა ჩვენი აზრიც, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში საჭიროა არა მარტო შეხვედრები და საუბრები, არამედ ისეთი დაუფარავი და გულახდილი საუბრებიც, როგორიც ახასიათდებოდა ახლანდელი სასარგებლო მოლაპარაკება. კანცლერმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის.

• • •

შეთანხმებულია ერთობლივი კომუნიკე მოლაპარაკების შედეგების შესახებ, რომლებიც პრესაში ქვეყნდება.

ხელი მოაწერეს „ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა გრძელვადიან პროგრამას“. დოკუმენტს ხელს აწერენ სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ს. სემიონოვი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გ.-გ. ვიკი. (საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ჰ. შმიდტი და ჰ.-დ. გენშერი მოსკოვიდან გაემგზავრნენ

1 ივლისს მოსკოვიდან სამშობლოს გაემგზავრნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰელმუტ შმიდტი და ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი.

აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკდესი).

შეხვედრა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში

1 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰ. შმიდტსა და ფედერალური კანცლერის მოადგილეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ.-დ. გენშერს.

მათ შორის გაიმართა საუბარი ორივე მხარის ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე. საუბარმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

აქტივის კრება

ბაკო, 1 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში სოფლის მეურნეობის შესახებ მითითებათა რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი განიხილა დღეს აქ გამართულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

აქტივმა დასახა ამოცანა ყოველმხრივ დაჩქარონ პურეულის მკის, საკვების დამზადების ტემპი, უზრუნველყონ ბამბის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სხვა პროდუქციის უხვი მოსავალი. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სოფლის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ნაკისრი დიდი სოციალისტური ვალდებულებანი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი.

• •

მიფრინავს „კოსმოს-1190“

1980 წლის 1 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1190“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიები

ტრადიციულად დამკვიდრებული „მაიაკოვსკის დღეები“, რომლებსაც საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ ხოლმე ქუთაისსა და მაიაკოვსკში, ძალზე პოპულარული გახდა და ყოველწლიურად სულ უფრო მეტ საბჭოთა პოეტს უყრის თავს.

რევოლუციური პათოსით, კომუნისტური იდეალების, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ყღერადობის მაღალმხატვრული ნაწარმოებების ავტორთა წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ. მაიაკოვსკის სახელობის ყოველწლიური პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი ამუშავებს დებულებას ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ. ამ პრემიით დაჯილდოება, 1981 წლიდან დაწყებული, „მაიაკოვსკის დღეებს“ დაუკავშირდება.

„მაიაკოვსკის დღეების“ მონაწილეებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის ქუთაისის საქალაქო და მაიაკოვსკის მწერალთა კავშირმა დააწესეს სამი „მაიაკოვსკის დღეების“ პრემია“ თითოეული 300 მანეთის ოდენობით. პრემიები წელსვე მიენიჭებათ „მაიაკოვსკის დღეების“ დახურვის წინ ყიორის გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებენ საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, პარტიის ქუთაისის საქალაქო და მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტები. (საქინფორმი).

ეძღვნება გამოჩენილი მხატვრის იუბილეს

ცხინვალი. წლეულს ოქტომბერში ასი წელი უსრულდება ოსეთის გამოჩენილ მხატვარს, ეროვნული მხატვრული სკოლის ფუძემდებელს მ. ტუგანოვს. შეიქმნა საიუბილეო ზეიმის მომწყობი საოლქო კომისია.

გაიმართა კომისიის პირველი სხდომა. გადაწყდა, სამხრეთ ოსეთში მოეწყოს მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ცხინვალში გაიმართება აგრეთვე მ. ტუგანოვის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

პარტიული ცხოვრება:

რაიკომი და საზოგადოებრივი დისციპლინა

დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბოლოდროინდელი თვალსაჩინო მიღწევები, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განაპირობა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველგან და ყველაფერში მტკიცე წესრიგის დამყარებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლამ.

ამ მიზნით რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. გამოიძებნა მრავალი საყურადღებო ფორმა და მეთოდი, მნიშვნელოვნად რომ შეუწყვეს ხელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას. ერთ-ერთი ასეთია დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიები, რომლებიც შექმნილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში, ყველა სამინისტროსა და უწყებაში, შრომითის კოლექტივებში...

როგორ იღვნის პარტიის თელავის რაიკომთან არსებული ასეთი კომისია? მუშაობის რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებს? როგორია მისი საქმიანობის შედეგები და მომავლის ამოცანები? ამ და რამდენიმე სხვა კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვეს „კომუნისტის“ კორესპონდენტებმა ზემოაღნიშნული კომისიის თავმჯდომარეს, პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს ა. კობაიძეს.

● ●

— როგორ ვგეგმავთ რაიონული კომისიის მუშაობას და რას ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ეტაპზე? — შემოგვიტრონა კითხვა რაიკომის მდივანმა. — ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან, მოგეხსენებათ, ამაზე, თუ რამდენად კონკრეტული, მიზანსწრაფული და საფუძვლიანია სამოქმედო გეგმა, ბევრად არის დამოკიდებული საქმის წარმატება. სწორედ ეს არის ჩვენი ამოსავალი წერტილი. ამიტომ მუშაობის დაგეგმვისას ვითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ საკითხის გამო, გარკვეული პერიოდისათვის შექმნილ სიტუაციას, მომავლის პერსპექტივებს, მოწმინავეთა გამოცდილებას, ხელმძღვანელი ორგანოების რეკომენდაციებს... ყველაფერი ეს შემდგომ სათანადოდ აისახება ჩვენს გრძელვადიან, კვარტალურ თუ ყოველთვიურ სამუშაო გეგმებში.

გარდა ამისა, საჭიროებისას (მაგალითად, მოსაზღის აღებადაბინავების პერიოდში) ვადგენთ ხოლმე მოკლევადიან, იგრეთ წოდებულ „სიტუაციურ“ გეგმებსაც. სწორედ ასეთი გეგმა და მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ხელთ გვქონდა ზუსტი მონაცემები სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, დაეხმარა შარშან რაიონულ კომისიას ყურძნის კრეფისას აღეკვეთა ბევრი სერიოზული დარღვევა და, ალბათ, ბოროტმოქმედებაც კი, რომლებიც შეიძენდოდა მომხდარიყო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა თუ გადამშუშავებელი მრეწველობის საწარმოებში. და რაკი სიტყვა ბოროტმოქმედების აღკვეთაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ სამუშაო გეგმებში, უწინარეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ სწორედ დანაშაულობათა პროფილაქტიკის, პოტენციურ დამნაშავეთა სწორ გზაზე დაყენების, და არა უკვე მომხდარი დარღვევების გამოვლინის და კონკრეტულ პირთა დამსახურებისამებრ დასჯის ღონისძიებებს.

მაგრამ ერთია გეგმის, თუნდაც საუკეთესო გეგმის შედგენა, ხოლო მეორე და უმთავრესი — მისი შესრულება. ამაში კი განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შექმნილ ადგილობრივ კომისიებს. თუმცა მათი მუშაობის სწორი ხელმძღვანელობის, მათდამი მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარების საკითხები მუდამ იყო ჩვენი სისტემატური ყურადღების საგანი, მაგრამ ყველა ადგილობრივი კომისია მაინც ვერ მუშაობდა ერთნაირი აქტიურობითა და წარმატებით. და ამის გამომწვევი მიზეზი უმეტესწილად ის იყო, რომ ყველა ჯეროვნად ვერ ერკვევიან მუშაობის სპეციფიკაში, ამ ფორმის მნიშვნელობაში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ უშუალოდ ადგილებზე დახმარების გასაწევად მათთვის მიგვეგზავნინა რაიონული კომისიის წევრები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მდგომარეობა. გარდა ამისა, ერთმანეთის შეკუთხმეთ კოორდინაციის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპები, რაც ნეგატიური მოვლენების არსში ღრმად ჩაწვდომის, მათს გამომწვევ მიზეზებში საფუძვლიანად გარკვევის და, მედიცინის ენით რომ ვთქვათ, სწორი დიაგნოზის დასმის კარგ საშუალებას გვაძლევს. ხშირად ვიყენებთ აგრეთვე ადგილობრივი და რაიონული კომისიების ერთობლივი გასვლითი სხდომების მოწყობის პრაქტიკას. ასეთი სხდომების გამართვის ადგილად უმეტესწილად იმ ორგანიზაციას თუ დაწესებულებას ვირჩევთ, სადაც რაიმე სერიოზული დარღვევა მოხდა, ან არის სიგნალი და მოსალოდნელია დანაშაული. ეს, ჩვენი აზრით, ადგილობრივი კომისიების სწავლების და, საერთოდ, რაიონში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი, მწყობრი სისტემის შექმნის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა.

— რაკი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი, მწყობრი სისტემა ახსენეთ, გვითხარით, რას აკეთებს თქვენი კომისია ამ მხრივ სამართალდამცავი, მაკონტროლებელი და სხვა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის სწორი კოორდინაციისათვის, მათი პასუხისმგებლობისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება-გაკონტროლებისათვის?

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ძალიან მოკლედ მინდა ვთქვა თვით საკოორდინაციო კომისიების დიდ როლსა და სარგებლიანობაზე. საქმე ის არის, რომ ისინი აერთიანებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული დარღვევა-დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზები, დავსახოთ მათი გამოსწორების გზები და საშუალებები და, რაც მთავარია, დაგვეხმარება ისეთი შემთხვევების თავიდან აცილებაში, როცა ზოგიერთ ობიექტს ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე სხვადასხვა საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფი ამოწმებს, ხოლო ზოგიერთი კი გარკვეული დროის მანძილზე საერთოდ უყურადღებოდ რჩება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი კომისია უმთავრეს მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, დანაშაულობათა პროფილაქტიკას, მაგრამ თუ საქმე დასჯამდე მივიდა, ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს, რომ მისი გადაწყვეტილება უთუოდ და დროულად შესრულდეს. ამ მიზნით იგი სისტემატიურად უწესებს კონტროლს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტების გაკმოძიებას და მკაცრად რეაგირებს საქმის გაჭიანურება-გაჯანჯლების ყოველ ფაქტზე.

შემოწმებისა და კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე კომისიის სხდომებზე გაწეული მუშაობის შესახებ ადმინისტრაციული, მაკონტროლებელი თუ ყველა იმ სხვა ორგანოს ხელმძღვანელთა ინფორმაციების სისტემატური მოსმენა, რომლებსაც გადაწყვეტილებების შესრულება დაეკვალთ.

— როგორც ცნობილია, სანამუშო წესრიგისათვის, დისციპლინისათვის ბრძოლა საყოველთაოსახალხო საქმეა, მთელი საზოგადოებრიობის საზრუნავია. გვითხარით, როგორია თქვენი რაიონული კომისიის კონტაქტები საზოგადოებრიობასთან, ფართო აქტივთან?

— კომისია თავის მუშაობაში ცდილობს და აღწევს კიდეც იმას, რომ უშუალო ფართო კონტაქტი ჰქონდეს ფართო საზოგადოებრიობასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან, გამოუმუშაოს მას ჯანსაღი ცხოვრებისეული შეხედულებები, მუშაობაში ჩაიბას რაც შეიძლება მეტი აქტივისტი. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა დარგის მშრომელებთან, დეპუტატებთან ერთად რაიონული და ადგილობრივი კომისიების მიერ მოწყობილი ერთობლივი რეიდები და შემოწმებები, შეხვედრები, კითხვა-პასუხის თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები...

ასეთი მჭიდრო კონტაქტები, ის ოპერატიული და ქმედითი რეაგირება, რომელსაც რაიონული კომისია, მისი ოთხი ქვეკომისია იჩენენ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლა, რომელიც ყოველდღიურად მძაფრდება და მწვავდება, ადამიანებში ბადებს რწმენას, რომ მათი ნაგნალები და სურვილები უყურადღებოდ არ დარჩება. ამიტომაც არის, რომ კომისიის სახელზე სულ უფრო ხშირად შემოდის მშრომელთა წერილები, რომლებიც ძალიან გვეხმარება ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოსწორებაში.

მაგალითად, კომისიამ მიიღო თელავის საექსკურსიო ბიუროს ბოლალტერის ც. პიტრიაშვილის სიგნალი, რომელიც აპაკარავებდა ბიუროში არსებულ დარღვევებს. ოპერატიული შემოწმებით ფაქტები დადასტურდა. ბიუროს უფროსი ლ. მიჩილაშვილი სამუშაოდან გავათავისუფლეთ...

— საზოგადოებრიობასთან, მასებთან, აქტივთან მჭიდრო კონტაქტი, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ მათ სისტემატურად სრული და ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ კომისიის მუშაობის შესახებ. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?

— ნაყოფიერად მუშაობს რაიონული გაზეთი, რომელშიც შექმნილია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შტატგარეშე განყოფილება. ამ განყოფილების სამუშაო გეგმას ჩვენი კომისია ამტკიცებს. ვიყენებთ ადგილობრივ რადიოგადაცემებსაც. ზემოთ უკვე ვილაპარაკე შრომითის კოლექტივებში კომისიების გასვლითი სხდომების მოწყობის თაობაზე (ასეთი სხდომები გაიმართა, მაგალითად, რაიკოოპერატივის, „ქალაქვაჭრობის“ სისტემებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მოკალთებულმა რამდენიმე საქმოსანმა დანაშაულებრივი კავშირი შეკრა და სხვადასხვა მაქინაციით, სიყალბით დიდძალი სახელმწიფო თანხა მითვისა. ვიდრე ამ საკითხით რაიონული კომისია დაინტერესდებოდა, ეს დაწესებულებები ბევრჯერ „შეამოწმეს“ რევიზორებმა, მაგრამ ვერც ერთხელ „ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს“. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები გამონაკლისი არ არის.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ უახლოეს ხანში დავნერგოთ ეგრეთ წოდებული „ონტროლის გაკონტროლების პრაქტიკა, რაც ზოგიერთ „რევიზორს“ სახელმწიფო ჯიბეში ხელის ფათურის სურვილს დაუკარგავს. გარდა ამისა, ამიერიდან მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობას უშუალოდ რაიონული კომისია ადევნებს თვალ-ყურს, იგი განიხილავს ყველა საგეგმო თუ მოულოდნელი შემოწმების შედეგებს, გააანალიზებს და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს... ამ საქმის სამსახურში ჩადგება მართვის ავტომატიზებული სისტემაც, რომელიც ოპერატიულად მიიღებს და გადაამუშავებს ინფორმაციებს რაიონის ყველა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაობის შედეგების შესახებ.

განზრახული გვაქვს აგრეთვე უფრო ფართოდ დავნერგოთ სხვადასხვა ობიექტის კომპლექსური შემოწმების პრაქტიკა, რაც საშუალებას მოგვცემს ღრმად ჩავწვდეთ იქ არსებულ მდგომარეობას, სრულად გავაანალიზოთ გამომდინარეობასთან, ფართო აქტივთან?

— კომისია თავის მუშაობაში ცდილობს და აღწევს კიდეც იმას, რომ უშუალო მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ფართო საზოგადოებრიობასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან, გამოუმუშაოს მას ჯანსაღი ცხოვრებისეული შეხედულებები, მუშაობაში ჩაიბას რაც შეიძლება მეტი აქტივისტი. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა დარგის მშრომელებთან, დეპუტატებთან ერთად რაიონული და ადგილობრივი კომისიების მიერ მოწყობილი ერთობლივი რეიდები და შემოწმებები, შეხვედრები, კითხვა-პასუხის თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები...

ასეთი მჭიდრო კონტაქტები, ის ოპერატიული და ქმედითი რეაგირება, რომელსაც რაიონული კომისია, მისი ოთხი ქვეკომისია იჩენენ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლა, რომელიც ყოველდღიურად მძაფრდება და მწვავდება, ადამიანებში ბადებს რწმენას, რომ მათი ნაგნალები და სურვილები უყურადღებოდ არ დარჩება. ამიტომაც არის, რომ კომისიის სახელზე სულ უფრო ხშირად შემოდის მშრომელთა წერილები, რომლებიც ძალიან გვეხმარება ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოსწორებაში.

მაგალითად, კომისიამ მიიღო თელავის საექსკურსიო ბიუროს ბოლალტერის ც. პიტრიაშვილის სიგნალი, რომელიც აპაკარავებდა ბიუროში არსებულ დარღვევებს. ოპერატიული შემოწმებით ფაქტები დადასტურდა. ბიუროს უფროსი ლ. მიჩილაშვილი სამუშაოდან გავათავისუფლეთ...

— საზოგადოებრიობასთან, მასებთან, აქტივთან მჭიდრო კონტაქტი, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ მათ სისტემატურად სრული და ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ კომისიის მუშაობის შესახებ. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?

— ნაყოფიერად მუშაობს რაიონული გაზეთი, რომელშიც შექმნილია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შტატგარეშე განყოფილება. ამ განყოფილების სამუშაო გეგმას ჩვენი კომისია ამტკიცებს. ვიყენებთ ადგილობრივ რადიოგადაცემებსაც. ზემოთ უკვე ვილაპარაკე შრომითის კოლექტივებში კომისიების გასვლითი სხდომების მოწყობის თაობაზე (ასეთი სხდომები გაიმართა, მაგალითად, რაიკოოპერატივის, „ქალაქვაჭრობის“ სისტემებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, ფართო საზოგადოებრიობასთან, ფართო აქტივთან?

— კომისია ამ მიმართულებით ეფექტიანად ეცდება, ეცადოს, ეცადოს, ეცადოს, ... ეცადოს, ... ეცადოს, ...

საერთაშორისო ცხოვრება
ლონდონის ჟურნალი
საქართველოს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

ყურადღება! ვემსახურებით მუშას

როცა საქმეს უგულოდ ეკიდებიან

სასადილოს სასიამოვნო გარეგნული იერი, სისუფთავე, მოხერხებული, ლამაზი ავეჯი, გემრიელი კერძები, მისი მოწოდების მაღალი კულტურა კარგად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე. სასიამოვნო გარემოში კაცი თავს ლაღად გრძნობს, მადლიერია, რომ მისი კეთილდღეობისთვის იზრუნა ვიღაცამ.

მომხმარებლის სურვილების დაკმაყოფილებლად, უწონარეს ყოველისა, საჭიროა მომსახურების მაღალი დონე, რომლის მისაღწევადაც უნდა იბრძოდეს ქარხნის ადმინისტრაცია, ვაჭრობის სისტემის თითოეული რგოლი, საზოგადოებრივი კვების თითოეული მუშაკი.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშები კმაყოფილი არიან თავიანთი სასადილოთი. იგი შარშან აშენდა. კვების ბლოკი ტიპობრივი პროექტით არის აგებული და საესებით შეეხამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ქარხანა სამ ცვლად მუშაობს. სასადილოში მოწყობილი კომპლექსური სადილების გაცემის ტექნოლოგიური ხაზი და ის, რომ დასაჯდომი ადგილები საკმარისია, მუშას საშუალებას აძლევს შესვენება რაციონალურად გამოიყენოს და მთელი დრო სადილობას არ მოანდომოს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ახალი ტექნოლოგიური ხაზი მომხმარებელს ორი ვარიანტის კომპლექსური სადილი აწვდის. თითო კომპლექსი 90 კაპიკი ღირს, რომლის 30 პროცენტს ქარხნის დირექცია იხდის. ერთი სიტყვით, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ბევრი რამ საგულდაგულოდ მუშათა კვების ორგანიზაციისა და მომსახურების მაღალი დონის მისაღწევად, რასაც მუშები დიდად აფასებენ.

გვსურს გავაცნოთ ქალაქ ბათუმის მუშათა კიდევ რამდენიმე სასადილოს მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან კარგი სურათის ჩვენებას ვერ შეგპირდებით. მუშათა კვება ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი, ამ უბანზე ბევრი რამ საჭიროებს მოწესრიგებას. ზოგიერი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი, პარტიული და პროფკავშირული ორგანოებია ნაკლებ ყურადღებას უთმობს მუშათა სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მათი მუშაობისადმი კონტროლსა და ნორმალური პირობების შექმნას.

გემთსაშენებელი ქარხნის სასადილოში ერქვა თვიზე მეტია მასალის უქონლობის გამო რემონტი ჭიანურდება. ეს დიდად უშლის ხელს მომხმარებელთა სათანადო მომსახურებას. ერთ ცვლაში მომუშავე ასობით მუშა-მოსამსახურე საწარმოდან მოშორებით 48-ადგილიან საზაფხულო პავილიონში სადილობს.

ქარხნის დირექციას მეტი მზრუნველობა, რომ გამოეჩინა და თავი შეეწუწუნებინა, რემონტს დაჩქარებდა და მდგომარეობას გაუმჯობესებდა. ამიტომ სამართლიანად მოგვიანია მუშათა უკმაყოფილება კვების საკითხისადმი ქარხნის ადმინისტრაციის (დირექტორი — გ. რუხაძე, პარტორგანიზაციის მდივანი — ვ. ჩერნიკი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — გ. ბალოგრე) გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ბათუმის მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მუშათა სასადილოების ნაკლოვანებათა მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: პირველნი, რომლებიც შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, და მეორენი, რომლებსაც კარგი მატერიალური პირობები აქვთ, მაგრამ მუშათა კვების სანიმუშოდ მოწყობას თავი მაინც ვერ გაართვეს.

პირველ ჯგუფში მოხვდება საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნის სასადილო, რომელიც მეორე სართულზეა მოთავსებული, ასვლა გიხდებათ დამტვრეული, ჭუჭყიანი, პაპიროსის ნამწვავებით სავსე კიბით, ხელსაბანი მოიწყობელია, წყალსადენი მილი — დაჭანგული. ასეთ ხელსაბაწში ელექტროსაშრობი ალბათ ფუფუნებად მიიჩნევს და არც გააკეთებს.

უკეთეს სურათს ვერც სავაჭრო საღონესა და სამზარეულოში შეხვდებით. სანოვაგის პირველადი დამუშავების საამქრო არა აქვთ, დამუშავება ხდება ან ჭურჭლის სარეცხში ან სამზარეულოში, რაც წესის მიხედვით ყოვლად დაუშვებელია. ჭურჭლის სარეცხი ოთახი არ ნიავდება და ორთქლი ჭერსა და კედლებს ანესტიანებს. როგორც ხედავთ, კვების ბლოკის მუშაკნს აქ მინიმალური პირობებიც არა აქვთ, ხოლო მომსახურების კულტურაზე საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე მსუბუქი ტაქსომოტორის საწარმოს, სამკერვალო გაერთიანების, ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანების, ხის დამამუშავებელი კომბინატის მუშათა სასადილოები, რომელთა შენობების უვარგისობასა და ცუდი სამუშაო პირობების გამო მუშათა მომსახურების სათანადო დონის მიღწევა შეუძლებელი ხდება.

თუმცა, მარტო სამუშაო პირობების უქონლობას ვერ დავაბრალებთ ყველაფერს, რადგან ისეთ მაგალითსაც ვხვდებით, როცა შენობაც შესაფერისი აქვთ, მოწყობილობაც, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვხედავთ.

ელექტრომექანიკური ქარხნის სასადილო ტიპობრივი პროექტით არის აშენებული. აღჭურვილია საეკონომიკო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, მაგრამ ტექნიკა გამოუყენებელია. არ მუშაობს სადილის სახარში სამი ელექტროქვაბი, მაცივრები, ჭურჭლის სარეცხი მანქანა.

სასადილოს შენობა დიდია და ახალგაზრდული კაფეს მოწყობის საშუალებასაც იძლევა. ქარხანაში 400-მდე კომკავშირელი და ახალგაზრდა მუშაობს. ახალგაზრდობის დასვენების გონიერულად მოწყობა არც ადმინისტრაციას ენაღვლება და არც კომკავშირულ ორგანიზაციას. რა ბედნიერ კარგი შენობა და აღჭურვილობა, თუ მას უნარიანი ხელმძღვანელი და ქკვიანი ორგანიზატორი არ პატრონობს?

იგივეს ვიუსაყვედურებთ მანქანათსაშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობასაც. მათაც შარშან მიიღეს სასადილოსათვის ახალი შენობა, ტექნიკა, მაგრამ, კომპლექსური სადილების გაცემის ტექნოლოგიური ხაზი სწორად, საქმის ცოდნით ვერ გამართეს და ამჟამად იგი გაუქმებულია. ესეც შენი მოუხმარებელი ტექნიკა!

ასეთი დაუდევრობის მოთმენა არ შეიძლება. აღნიშნულ ორგანიზაციებსა და მათთან ერთად აჭარის თევზეურის სამმართველოს, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის, „კავკასტანსფორმატორის“ ადმინისტრაციებს, მათ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ საჭიროა უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაციონალურ გამოყენებას, შესაფერისი კადრებით სასადილოების დაკომპლექტებას.

ბათუმის სასადილოების ტრესტის (დირექტორი — ო. კეკენაძე) საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ცუდად ინერგება პროგრესული მეთოდები, კვლავ ეხვდებით ბებერ ვაჭრობისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ერთფეროვანია სადილების ასორტიმენტი, არ ყიდიან რძესა და მის პროდუქტებს, არ ამზადებენ ბოსტნეულის კერძებს და საუზმეს.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამო სასადილოების ტრესტი გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებს. ვაჭრობის სისტემაში იგი იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც საქონლბრუნვის გეგმა ჩაშალა.

ცალკე საუბარი მოგვიწევს ბათუმის სანიტარიული სამსახურის საქმიანობაზე. მუშათა სასადილოების სანიტარიული თუ ტექნოლოგიური რეჟიმის სისტემატური დარღვევის მიზეზი ყოველ მხრივ ეპიდსადგური (მთავარი ექიმი — ნ. ჩიკვაშვილი) თავისი მოვალეობის სუსტი შემსრულებელი რომ არის, ამას ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც ადასტურებს.

თუმცა, სანეპიდსადგურს სხვა ნაკლიც ახასიათებს — საკუთარი გადაწყვეტილებისადმი უპატივცემულობა. სანეპიდსადგურის ინფორმაციის თანახმად, საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნის სასადილო ცუდი სანიტარიული და ტექნოლოგიური პირობების გამო დაიხურა. შემოწმების შედეგების მიხედვით ვხედავთ, რომ სასადილო იმავე პირობებში განაგრძობს მუშაობას.

ნათელია სურათი, რომელიც აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირის საოლქო კომიტეტის ამს წინათ გამართულ გაერთიანებულ სხდომაზე გამოვლინდა. ქალაქ ბათუმის საწარმოებში საზოგადოებრივი კვების საკითხის განხილვისას ითქვა, რომ წინ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, ქალაქის ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სანიტარიული სამსახურები, სავაჭრო თუ მომწოდებელი ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობით ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოთხოვნებს, ჯერ კიდევ არ წარმოებს ყოველდღიური, მიზანმიმართული მუშაობა კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, დასახული პროგრამის შესასრულებლად, მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ნ. ნორაკიძე.

ნაპაკვნარში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). უამრავი სტუმარი ჰყავს ს. ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმს სოფელ ღორეულში. ამას წინათ პროფესიონალი რევოლუციონერის ნაკვნარი ინახულა საბჭოთა კავშირის გმირის ვალერი ჩკალოვის შვილმა. შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ ჩანაწერებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, შვეიცარულ, ფინურ და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენებზე.

მუზეუმის დირექტორმა, სახელოვანი მამის შვილმა ე. ორჯონიკიძემ საუბარში თქვა, რომ ექსკურსანტთა რიცხვმა 800 ათასს გადააჭარბა. მნახველებს ბევრი სიახლე ელოდებათ ამ დღეებშიც. ბელადის დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამდიდრდა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი სტენდები, მოეწყო თეორიული კონფერენცია, თემატური საღამოები, საინტერესო შეხვედრები. მუზეუმის თანამშრომლები მიავლინეს მოსკოვში, ლენინგრადში, ორჯონიკიძეში, თბილისში, სადაც შეკრიბეს ახალი მასალები ვ. ი. ლენინისა და გ. კ. ორჯონიკიძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და მეგობრობის შესახებ.

მუზეუმის თანამშრომლებს ახლო ურთიერთობა აქვთ იაკუტიის ასსრ ორჯონიკიძის რაიონის, ს. ორჯონიკიძის სახელობის „ახოვსოფლმანქანის“, ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მშრომელებთან. აქ ნაყოფიერად მუშაობს ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის სახალხო უნივერსიტეტი, ეწყობა ლექციები, საუბრები, კონსულტაციები მასებისათვის საინტერესო საკითხებზე.

ო. ნიქაბაძე.

მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკებამ საზღვარგარეთის საზოგადოებრიობისა და პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები დაწვრილებით აშუქებენ მოლაპარაკების მიმდინარეობას, აქვეყნებენ იმ სიტყვების შინაარსს, რომლებიც კრემლში გამართულ სადილზე წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა, ხაზს უსვამენ, რომ მოლაპარაკების მნიშვნელობა სცილდება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს და დასძენენ, რომ ამ მოლაპარაკებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიოსა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ბედზე.

როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბელინგმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა კმაყოფილება გამოთქვეს მოლაპარაკების პირველი დღის გამო, უწოდეს მას ინტენსიური, საქმიანი, გულახდილი, გულწრფელი და ფრიად სერიოზული.

ბონის „გენერალ-ანეიგერი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა დაბეჯითებით მოუწოდა დასავლეთს განზე გადადგა „დამატებითი შეიარაღების“ ნაირ-ნაირი პროგრამები, ხელი აიღოს ახალ სახეობათა და სისტემათა იარაღის შექმნაზე, იქნება ეს რაკეტული, ნეიტრონული, ქიმიური თუ ნებისმიერი სხვა იარაღი. ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, თავის სიტყვაში საერთოდ დადებითად შეაფასა სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარება და აღნიშნა, რომ სოციალისტურ სისტემათა განსხვავებისა და სხვადასხვა კავშირთა წევრობის მიუხედავად ორივე ქვეყანას შეუძლია ბუნებრივი პარტნიორები იყვნენ იმ დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებსაც ცხოვრება აყენებს.

„ჰ. შმიდტისა და ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას შეუძლია და უნდა შეუწყოს კიდეც ხელი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას“, — განაცხადა ჰანოვერში გამოსვლისას გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰ. მისმა. მან ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის მოლაპარაკება უნდა ემსახურებოდეს როგორც ამ ორი ქვეყნის ინტერესებს, ისე ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“ კომენტარში — „უაღრესად საჭირო დიალოგი“ — წერს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობა ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეძებო და იპოვო სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის გზები.

ფრანგული „�ატენი“ ხაზს უსვამს მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების დიდ მნიშვნელობას და წერს, რომ ამ მოლაპარაკების შედეგებს „მოუთმენლად მოელიან ყველა დედაქალაქში“.

ინგლისის „მეორეხარისხოვანი“ რაიონი

ლონდონი. 2 ივლისი. დიდი ბრიტანეთის კონსერვატორია მთავრობა მთლიანად უგულებელყოფს ჩრდილოეთ ირლანდიის ეკონომიკური განვითარების ინტერესებს.

როგორც პრესა იტყობინება, ოფიციალურმა ლონდონმა გამოაცხადა ოლსტერის ეკონომიკის საჭიროებისათვის სახელმწიფო ასიგნებათა გაყინვის შესახებ. კონსერვატორები ჩრდილოეთ ირლანდიას ფაქტობრივად „აშიშლიბენ“, და ეს მაშინ, როცა იქაური ეკონომიკური მდგომარეობა ინგლისის პრესის აღიარების თანახმადაც კატასტროფულია. ამჟამად უმუშევრობის დონე ოლსტერში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 12 პროცენტს შეადგენს. — 73 ათასი ჩრდილოირლანდიელი უმუშევარია. ჩრდილოეთ ირლანდიის მთელი ქალაქები და სოფლები პარტახდება იმის გამო, რომ დაიხურა საწარმოები და ფაბრიკები.

გამოცხადებულ ღონისძიებათა ოფიციალური მიზეზი ის არის, რომ „საჭიროა გადაისინჯოს ჩრდილოეთ ირლანდიისათვის სახსრების განაწილება“. მაგრამ მთელი რიგი მიმმხილველები ამ გადაწყვეტილებას უკავშირებენ კაბინეტის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას. კონსერვატორებმა ფაქტობრივად პროვინცია ბედის ანაბარა მიატოვეს, რადგან ოლსტერი შეერთებული სამეფოს მეორეხარისხოვან ნაწილად მიიჩნიეს.

ამხილეს აგრესიული აქტები

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. ლიბანის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ტუეინიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს ტელ-ავივის აგრესიის განუწყვეტელი აქტების წინააღმდეგ.

დოკუმენტში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ტელ-ავივი სისტემიან პროვოკაციებს სჩადიოდა მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო იხილავდა იერუსალიმის ანექსიის საკითხს. ამით ისრაელის მმართველმა წრეებმა კიდევ ერთხელ აბუჩად აიგდეს საერთაშორისო გაერთიანება, საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ეს უკვე მეორე წერილია, რომელიც ლიბანის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა სამხრეთ ლიბანში, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების განლაგების რაიონში ისრაელის დანაშაულებრივ მოქმედებათა შესახებ. მანამდე, 26 ივნისს წერილში, აღნიშნული იყო, რომ ტელ-ავივის მიერ განხორციელებული აქციების საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავენ ლიბანის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილის ანექსიას.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში უშიშროების საბჭო უკვე შეიჯერ შეიკრიბა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიული პოლიტიკის განსახილველად, მაგრამ დღემდე მან ვერ შეძლო ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება სიონისტთა მთავარი მფარველის — შეერთებული შტატების მხრივ ობსტრუქციის გამო, რომელიც მუდამ აშკარა ანტიარაბულ პოზიციას ადგას.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის დეკადა

1 ივლისს საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის დეკადა. იგი ეძღვნება მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 59-ე წლისთავს.

დეკადა საზეიმო საღამოთი გაიხსნა მოსკოვის ვოიკოვის სახელობის ქარხანაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის საზოგადოების კოლექტიური წევრია. ორატორებმა აღნიშნეს, რომ წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა და მონღოლი ხალხის მეგობრობა.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის დეკადის ღონისძიებანი მოეწყობა სსრ კავშირის ბევრ ქალაქში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში. (საკდესი).

ლუანდა, 2 ივლისი. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე ქვეყნის სამხრეთ რაიონებში შექმნილი ვითარების შესახებ, რომლებსაც თავს დაესხნენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები.

24 ივნისს, ნათქვამია კომუნიკეში, ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში შეიჭრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კიდევ ერთი ქვეითი ბრიგადა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სატანკო ბატალიონი და შორსმსროელი არტილერიის ორი ბატარეა. 25 ივნისს სამხრეთაფრიკელ ჯარისკაცთა ასეულმა დაარბია კატომბის დასახლებული პუნქტის მცხოვრებნი. 25-29 ივნისს პრეტორიის ძალები ცდილობდნენ იერიში მიეტანათ ქალაქ მონგვაზე და დანაღმეს მისი მისასვლელი გზები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ავიაცია ზვერავდა მენონგას—კუანდო კუბანგოს პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრს, აგრეთვე ბომბავდა ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კოლონებსა და სახალხო თავდაცვის ორგანიზაციის რაზმებს, რომლებიც კუნენის პროვინციის გზებით მიიწევდნენ წინ.

29 ივნისს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარების კოლონა 40 ჯავშნისანი აერომობილის დახმარებით ცდილობდა წინ წაწოწია ქალაქ ნჯივის მიმართულებით, მაგრამ იგი ამ ქალაქიდან 23-ე კილომეტრზე შეაჩერეს. იმავე დღეს ვერტმფრინავებით გადმოსხვეთა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებმა იერიში მიიტანეს მპუპის დასახლებულ პუნქტზე, რომელიც ნამიბიის საზღვრიდან 60 კილომეტრზე მდებარეობს.

ამ ბარბაროსული მოქმედების შედეგად დაიღუპა 22 მშვიდობიანი მცხოვრები და ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების 29 სამხედრო მოსამსახურე, განადგურდა 3 ავტომობილი.

კვლავ არღვევენ საზღვრებს

კნოდგანი. ტაილანდის ავიაცია კვლავ არღვევს კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო საზღვარს, იუწყება კამბუჩიის საინფორმაციო სააგენტო სპკ.

28 ივნისს ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები შემოიჭრნენ კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში პრეახვიხეარის რაიონში, ხოლო ტაილანდის ავიაგამანადგურებლები დაზვერვის მიზნით თავს დასტრიალებდნენ კამბუჩიის ბატამბანგის პროვინციას.

ტაილანდის სამხედრო მოსამსახურეებმა თავიანთი ტერიტორიიდან ამ ბოლო დღეებში არაერთხელ დაუშინეს ნაღმსატყორცნის ცეცხლი კამბუჩიის საზღვრისპირა საგუშაგოებს, აღნიშნავს კამბუჩიის საინფორმაციო სააგენტო.

რასისტთა ბარბაროსული მოქმედება

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებმა, ხაზგასმით აღნიშნავს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, 23-დან 30 ივნისამდე პერიოდში არათუ არ გამოიყენეს ჯარები ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მოითხოვა, არამედ, პირიქით, შეეჭრნენ ანგოლის ტერიტორიაზე 60 კილომეტრზე და ზრდიან თავიანთ დაჯგუფებას.

მთელი ქვეყნის ხალხის ყოველმხრივი მხარდაჭერით, ნათქვამია კომუნიკეში, ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ სუვერენული ანგოლის დასაცავად.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავს აშკარაგან ჩაერიოს ანგოლის საშინაო საქმეებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სასარგებლოდ, იტყობინება გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“. საამისო ნიადაგს, წერს გაზეთი, ამზადებენ ამერიკის კონგრესის კონსერვატიული ძალები, რომლებმაც გასულ კვირაში სენატს მიაღებინეს შესწორება, რომლის თანახმადაც უქმდება ანგოლიელი კონტრრევოლუციონერებისადმი დახმარების შეზღუდვები. როგორც გაზეთი წერს, საქმე ეხება იმას, რომ პრეზიდენტს შესაძლებლობა მისცენ, არა მარტო უშუალოდ დაუჭიროს მხარი სავიმბის დაჯგუფებას, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ამ მიზნით ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ სანქცია მისცენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მომზადებულ აქციებსაც.

ქორევები და შაქვეები

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. ვან ლაუმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ამხილებს ამერიკისა და პეკინის პროპაგანდის ცდილისმწამებლურ ჭორაკს ვიეტნამის ჯარების კამბუჩიის ტერიტორიიდან ტაილანდში „შეჭრის“ შესახებ. როგორც აღნიშნულია დოკუმენტში, უკვე ათი დღეა ტაილანდის სამხედრო ხელისუფალნი განაგრძობენ პროვოკაციებს კამბუჩიის საზღვარზე, რათა შენიღბონ პეკინის ექსპანსიონისტების მიერ იმპერიალისტთან ერთად იმ გეგმების განხორციელება, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ ინდოჩინეთის ხალხთა ნორმალური ცხოვრების ხელდგენის ღონისძიებებს, საბოტაჟი გაუწიონ მშვიდობასა და უშიშროებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

წინააღმდეგ ვაშინგტონის და პეკინის მიერ გავრცელებული ცილისწამებისა, ფაქტები მოწმობს, რომ სწორედ ტაილანდის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ კამბუჩიის ტერიტორიაზე. წერილში ყურადღებას უთმობენ, კერძოდ, ბანგკოკის გაზეთის „მატჩრონის“ 27 ივნისის ცნობას. გაზეთმა მოათავსა ცნობა ტაილანდელი პოლკოვნიკის პრაჩაკ სავანგჯიტის პრესკონფერენციის შესახებ, რომლის დროს მან განაცხადა: ტაილანდის ჯარებმა მოსპეს მტრის დიდი ბაზა სოფელში, რომელიც მდებარეობს კამბუჩიის ტერიტორიაზე საზღვრიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით.

ქართველ ბავშვთა ოსტატობა

მადრიდი, 2 ივლისი. ესპანეთში დიდი წარმატებით ჩაიარა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლებმა. ქართველმა ბავშვებმა თავიანთი ოსტატობა უჩვენეს ესპანეთის დედაქალაქის, ლეონის, ხიხონის, ვალიადოლიდისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებლებს.

განსაკუთრებით გულთბილად ჩაიარა ნორჩ ხელოვანთა შესვედრამ „ესპანეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის წევრებთან.

ბავშვთა კოლექტივის გამოსვლები, რომელიც გასტროლებს განაგრძობს პორტუგალიაში, მიმდინარეობდა დევიზით „ოლიმპიადა-80“.





ხალხის ნების ფინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დღითიდღე აძლიერებს ქვეყნის სამხედრო არსენალს. სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება მასობრივი განადგურების ახალი იარაღის შესაქმნელად. ერთ-ერთი საზეობის სტრატეგიული იარაღი, ეგრეთ წოდებული ფრთოსანი რაკეტების წარმოება დაიკავა მსხვილ სამხედრო-სამრეწველო კონცერნ „ბოინგს“. ხუთ წელიწადში კორპორაცია დაამზადებს 3 ათას ფრთოსან რაკეტას. კონცერნი „მაკდონელ დუგლასი“ პენტაგონს გაისად 48 ათას „ფ-18“ ზებგერითს ავიაგამანადგურებელს მიაწვდის.

ამერიკელი ხალხი, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა მზარდი სამხედრო ხარჯების გამო სულ უფრო უარესდება, მკაცრად გმობს მთავრობის მილიტარისტულ პოლიტიკას. ქალაქებში ეწყობა ომის საწინააღმდეგო მიტინგები და დემონსტრაციები.

სურათებზე: ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა მოითხოვს შეწყდეს ვეიკესის კუნძულის სამხედრო პოლიგონად გამოყენება (ზემოთ); ფრთოსანი რაკეტის გამოცდა იუტის შტატის პოლიგონზე (მარცხნივ); ზებგერითი ავიაგამანადგურებელი „ფ-18“.

იუპი-აპ-საკდესის ფოტო.

მონოპოლიების სასარგებლოდ

ვაშინგტონი, 2 ივლისი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებისა და ადრე ნაკისრი ვალდებულებების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „მწვანე ქუჩა“ გაუხსნა ამერიკის მონოპოლიებს მთელი კაცობრიობის საერთო კუთვნილების — ოკეანის ფსკერის რესურსების ძარცვისათვის. პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ამერიკის კომპანიებს „ნებას აძლევს“ ცალმხრივი წესით შეუდგნენ სასარგებლო წიაღისეულის ამოღებას ზღვებისა და ოკეანეების ფსკერიდან ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ და არ დაელოდონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლისადმი მიძღვნილი მესამე კონფერენციის მუშაობის დამთავრებას.

როგორც ცნობილია, ეს კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ეწევა საერთაშორისო სამართლის ამ ერთ-ერთი ყველაზე რთული და ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხების იურიდიულ მოწესრიგებას. ფორუმზე არაერთგზის აღნიშნა: მომავალი შეთანხმების ფუძემდებელი პრინციპი უნდა გახდეს ის ფაქტის აღიარება, რომ მსოფლიო ოკეანის სიმდიდრე მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის მტაცებლური ძარცვის თავიდან აცილების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ 1970 წელს შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც კრძალავს საერთაშორისო წყლებში სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვასა და მოპოვებას შესაბამისი კონვენციის შემუშავებამდე. ამ რეზოლუციას ხმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმაც.

მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები, ჩანს, ხელს არ აძლევდა ამერიკის მონოპოლიებს, რომლებიც შეჩვეული არიან სხვისი სიმდიდრე საკუთარივით გამოიყენონ. სწორედ მათი ზეგავლენით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობა პალატამ და სენატმა მოიწონეს კანონპროექტი, რომელიც „დიდ ბიზნესს“ არა მარტო ოკეანის ფსკერის სიმდიდრეთა მითვისების გზას უხსნის არამედ აშკარად აქეზებს მის მძარცველურ ინსტინქტებსაც.

პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა, რომელიც აცხადებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ერთგული იყოს საერთაშორისო სამართლისა, კანონპროექტს ხელი მოაწერა ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ განმარტავდა ასეთი აჩქარების მიზეზს და გულახდილად წერდა: „ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა აღნიშნეს, რომ სურთ კანონი რაც შეიძლება მალე შეეიდეს ძალაში, რათა საერთაშორისო კრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით შენელდეს მანამ, სანამ 28 ივნისს 150 დელეგაცია კვლავ შეიკრიბება ქვეყვანი სანაკეანო კონვენციის გამომუშავებისადმი მიძღვნილ მორიგ რაუნდზე“.

კანონპროექტის ხელმოწერით პრეზიდენტმა ცხადყო, რომ ამერიკის მონოპოლიების ინტერესებს, რომლებსაც ჯ. კარტერი ახლა დიდად ელ

დრონი და ურთიერთობანი

თითქოს პარადოქსია: სტუდენტობისას იოლად ვიხარჩუნებდი წონასწორობას. მოსკოვში ვიყავი, სადაც ვსწავლობდი, თუ ექსკურსიად რუსეთის რომელიმე ოლქში, ვინმე დაფნაძეს რომ დამიძახებდა, სელიოდკინის ხმა მესმის-მეთქი, მივუგებდი. ვინც მეტყოდა, დღეს ბაზარში მურიანები ვნახეო, ვეუბნებოდი, მე კი შენიანი ვნახე, არ ყოსა და ხახვის სუნში გაგაუდულს ღობისძირას ეძინა-მეთქი.

ამგვარ მოდურ „მახვილსიტყვაობას“ აყოლილთაგან ბევრი მაშინ ულრძოდ „ანგლომდა“, სხვები — ღრძოდ, ნიშნის მოგებით. გამონაკლისად მოშოვინისტურო გამოხდომებსაც გადაეყრებოდი.

მოკლედ, ზოგი მართლა ხუმრობდა, ზოგიც — ვითომ.

აბა, რა დასტური უნდა იმას, რომ ამნაირი მართლა ხუმრობაც შეურაცხმყოფელი იყო. შედეგიანს ვერც ვერაფერს იზამდი — შერყეულიყო რესპუბლიკის პრესტიჟი. მასა რუსეთში საქართველოსადმი კეთილგანწყობილებას ინარჩუნებდა, მაგრამ მასას სად შეეძლო შენი ხალხის და შენი ქვეყნის არსს ჩასნვდომოდა, როცა შენს ხსენებაზე ფორთოხალი, დაფნა და მიმოზა ელანდებოდა.

თითქმის ერთადერთი, რაც ადაპტაციისა და თავის დაჭერის სახსარს გიტოვებდა, ის იყო, რომ კბენას კბენით უპასუხებდი. ხოლო თუ პასუხს სიმშვიდე და ღიმილიც თან სდევდა, შეგაშვებოდნენ და თითქოს გამარჯვებულიც კი გამოდიოდი ამ უღირს პაექრობაში.

თანდათანობით, რაც ხანი გადიოდა, შეგუების უნარს ვკარგავდი, ქილიკი გრძელდებოდა, რადგან გრძელდებოდა მუჭა-მუჭა ვაიქართველების ბიზნესის გაფურჩქვნა და, ასე განსაკვეთ, აფექტაციაც განმიცდია, რაც, ალბათ, ნერვული სისტემის ცვეთასაც მიეწერება. პერიოდები მქონია, მიფიქრია, რომ ადამიანთა შორის ნდობა ნერვის უჯრედს ჰგავს — აღარასოდეს აღდგება!

მახსოვს, სტალინის ცხედარი ჯერ გაცივებული არ იყო, მოსკოვში მივლინებულს, ერთმა ნაცნობმა მკითხა: რაღა გეშველებათ ქართველებს, თანამემამულის მფარველი ტორი რომ მოგცილდათო. ორივენი მილიციაში აღმოვჩნდით. გამწარებულმა ნუგეშად ის ვიკმარე, რომ საკვალიფიკაციო მილიციამაც კი არ გამიმეტა.

სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის წლებში ხელის აქნევის, უნდობლობის, ზოგჯერ შურის რეციდივები მეშჩანებისა და დაბალი დონის პირთა წრეს გასცდა.

რომის ოლიმპიადაზე ტურისტად ყოფნისას კაპრის კუნძულს ვესტუმრეთ. ერთ თანამგზავრ ქალს, ფილოსოფიის დოცენტს, ხმელთაშუა ზღვის სილაჟვარდის ხილვისას პირდაპირ აღმოხდა: რა სამართალია, შავი ზღვა თქვენ გქონდეთ და ჩვენ არაო. უცხო გარემოცვა რომ არა, საკუთარი ტუჩის კვნეტას არ დავჯერდებოდი. ახლა კი მარტო ეს ვუთხარი: ჯერ ერთი, რით არ არის შავი ზღვა შენი; მეორეც; მე რატომ მედავები და არ ეცილები თურქს ან რუმინელს, რომლებიც ასევე იქნებიან ოლიმპიადაზე ჩამოსული-მეთქი. მას შემდეგ იმ ქალისთვის ხმაც არ გამიცია. პარდონ, ვტყუი! როცა „ფორო იტალიკოზე“ სხვადასხვა ენაზე გამოაცხადეს, რუსი რობერტ შაელაყაძე ოლიმპიური ჩემპიონიაო, ე, მაშინ კი შევუწყვარი: ზღვის მეპატრონეებს რომ კარგად არჩევ, ახლა რატომ არ ყვირი, შავლაყაძე ქართველიაო?!

ასეც ხდებოდა ხოლმე, სამწუხაროდ...

თავისიდროინდელმა ამგვარმა დანაშრევებმა საბჭოთა ხალხის ძმობასა და თანამშრომლობას ძირი, რაღა თქმა უნდა, ვერ გამოუთხარა — საამისოდ მაინც მცირე საბები გახლდათ, მაგრამ ურთიერთობას ნინჟი კი დააჩნია.

ასე იყო და ასე აღარ არის! ყოველ შემთხვევაში, აღარ იგრძნობა, თვალს აღარ გთხრის, ყურს აღარ გართმევს.

ურთიერთობა უწინარესად თვალის და გულის სითბოთი იზომება. თაროებზე ვერ გაანაწილებ, ვერც საშუალო არითმეტიკულს გამოიყვან. ურთიერთობა სხვა სფეროს განეკუთვნება და თუმცა თავისი ფაქტობრივი მტკიცებანი აქვს, მისი რაობა უწინარესად უნდა შეიგრძნო.

საქართველოს ბოლო წლების წარმატებებმა შეგვაგრძნობინა საქართველოს ავტორიტეტის განუხრელი ზრდა მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

და მაინც, რაკიღა ზემოთ მეხსიერებაში უნდილობის ფაქტები აღვადგინეთ, მტკიცებებს ახლაც ნუ შევეშვებით, მით უმეტეს, რომ გულს აღარ დაგვნყვეტს, პირიქით, მოეფონება.

საბჭოთა ხალხების და, უპირველეს ყოვლისა, რუსი ხალხის, დიდი რუსეთის დიდი მხარდაჭერა, თანადგომა გვაქვს. ისეთი, როგორც არასდროს, და ეს იმიტომ, რომ ურთიერთობათა ტრადიციულად მკვიდრ საფუძველს ახალი ბალავარი დაედო, ბალავარი, რომელიც მარტო აღმავალი ეკონომიკური მონაცემებით როდი არის სალი და მყარი.

რესპუბლიკას, მის ორგანიზაციებსა და უწყებებს გამოხშირული ქათინაურები კი არა, იმდენი მადლობა, იმდენი შექება, იმდენი გულწრფელი მოლოცვა აქვს მიღებული ამ ბოლო წლებში საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, რამდენიც არასდროს.

და სულ დიდთა საქმეთათვის!

უწინ საქართველოს მაგალითზე საბჭოთა კავშირის მიღწევათა ჩვენება უცხოეთში იმდენჯერ ხდებოდა, რამდენჯერაც რესპუბლიკების საერთო რიგი მოგვცემდა ამის საშუალებას. ახლა ცენტრი გთხოვს, იქნებ ნელინდდნი ერთხელ ან ორჯერ ურიგოდ გახვიდე, საქართველოვ, უცხოეთში! დიახაც, გენდობიან, სჯერათ შენი, რადგან ჯანსაღად იდარე, წელში გაიმართე, გახალისდი!

მაშ ყველაფრისთვის მიგვიღწევია და, აწი რაღა?..

ჩუ, ვინცა ხარ, ურწმუნო და უთავკარგო, ირონია არ იკადრო!

გამოჯანსაღებულს ამირანის ღონე ელის, წელში გამართულს — მხრებშიც მთლად გაშლა, გახალისებულს — გალაღება!

რამდენი ათი და ათჯერ ათი სხვა არის ფაქტი... ოღონდ თავდება სვეტი, თხრობის დამთავრება კი არ იქნება, თუ დასახელისი არ გავიხსენეთ, და ის ალარა ვთქვით, რომ რუსეთის ბაზრებს ჩვენი ნილი ულვაში გავპარსეთ.

დანიაში საბჭოთა კავშირის ელჩმა ამხანაგმა ეგორიჩევმა მითხრა: ვიდრე უფროსი და ავად მყავდა და მისთვის მოსკოვის ბაზრებში გორის ატამი ვეღარ ვიშოვნე, ვამგიტყდებთო, ძალუმ გულმოსული ვიყავი თქვენზე. მაგრამ, როცა შვებულების დროს გავიგე, როგორ გაგიზრდიათ ხილის და ბოსტნეულის ნილი საკავშირო ფონდში, მივხედი, რამოდენა საქმის თაოსნები ხართ და როგორ იგებთ საპრესტიჟო ასპარეზობებს.

ამ დღეებში „კომსომოლსკაია პრავდამ“ მოსკოვის 679-ე და თბილისის 137-ე სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა საგამიცდო თხზულებათა მიმოხილვა დაბეჭდა. ორივე სკოლას თავისუფალი თემა ჰქონდა: „ვინ ვიქნები“. სკოლადამთავრებულთაგან ქართველ ბიჭებსაც უსურვებიათ საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში მუშად ნასვლა.

დრო შესამჩნევად შეიცვალა ჩვენში, შესაბამისად — დამოკიდებულებაც ჩვენდამი!

ტელევიზია

ᲗᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრცელი“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.05 — ამბიტურიენტებისთვის — ფიზიკა (ფ.), 17.35 — განცხადებები (ფ.), 17.40 — კინონარკვევი, 17.55 პოლიტიკური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ზიზანი, რომელიც სიცოცხლეს მფლობ“. მეჩვიდმეტე სერია (ქართულ ენაზე), 19.00 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს! ვაშა შენებას!“ — გარდაბნის რაიონი (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „ლიუბოვინების აღსასრული“ (ფ.), 22.00 — „ვრცელი“ (მ.), 22.35 — ქართული მუსიკა საზღვარგარეთ“ (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.15 — „ახალგაზრდული ხმები“ (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — განცხადებები (ფ.), 18.40 — დოკუმენტური ფილმი „სიტყვა ჩვენს რესპუბლიკაზე“ (ფ.), 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი.

თეატრი

ᲗᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; მეტეხის თეატრი (თეატრალურ კარაგში. კომუნარების ქვედა ბაღი) — ფიმფუანი; მეგანის პლატო — ბოშათა ანსამბლის კონცერტი კორტოვას ხელმძღვანელობით.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ ᲩᲘ-ᲘᲡ ᲨᲝᲚᲚᲝᲚᲘᲜᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ-ᲩᲘ“-ᲘᲡ ᲨᲝᲚᲚᲝᲚᲘᲜᲨᲘ“. ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲯᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲔ 16 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲖᲔ — ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲖᲔ, ᲫᲘᲣᲓᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲘᲠᲘᲓᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲒᲗ.



Ჯ. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ.



Მ. ᲪᲐᲚᲩᲐᲚᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ.



Ლ. ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲘᲚᲦᲔᲣᲚᲘ ᲜᲣ ᲓᲐᲕᲯᲔᲠᲓᲔᲑᲘᲗ!

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ქართველ ფეხბურთელთა ოლიმპიური დებიუტი ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲨᲘ 1952 წელს შედგა. მაშინ საბჭოთა ნაკრებმა უიღბლოდ ითამაშა. ჩვენმა ფეხბურთელებმა მხოლოდ მერვედფინალამდე მიაღწიეს. საქართველოდან ნაკრებში ითამაშეს **ავთანდილ ღოღობერიძემ** და **ავთანდილ ჭკუასელმა. მიუნხენში** (1972) საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ **მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი.** გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. **მონრეალის** (1976) ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრებში იყო **დავით ყიფიანი,** მაგრამ მწვრთნელებმა რატომღაც მოედანზე არ გამოიყვანეს, რაც შეეხება ოლიმპიადების შერჩევითს მატჩებს, იქ საქართველოს ბევრმა ფეხბურთელმა იასპარეზა. აი, ეს ნუსხაც; 1959 წელს ითამაშეს **ზაურ კალოევმა, ავთანდილ ღოღობერიძემ** და **შოთა იამანიძემ;** 1963-64 წლებში — **მურთაზ ხურცილავამ, სერგო კოტრიკაძემ** და **რამაზ ურუშაძემ;** 1967-68 წლებში — **მურთაზ ხურცილავამ, გურამ ცხოვრებოვმა** და **გივი ნოდიამ;** 1971-72 წლებში — **ვლადიმერ გუცაევმა, გივი ნოდიამ, მანუჩარ** და **გოჩა მაჩაიძეებმა;** 1975 წელს — **დავით ყიფიანმა** და **მანუჩარ მაჩაიძემ.**

სსრ კავშირის ხალხთა სასპარტაკიადო ტურნირები გაიმართა 1956 და 1979 წლებში. საქართველოს ნაკრებ გუნდებს ორივეჯერ საპატიო, მეორე საპრიზო ადგილები ხვდა წილად.

უკანასკნელ წლებში თბილისის „დინამომ“ არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ჩვენი ქვეყნისა თუ საერთაშორისო სარბიელზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ ხანში დინამოელთა თამაშში ერთგვარ გაუფერულებას). ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში არაერთი დინამოელია შეყვანილი, ოლიმპიურ ნაკრებში კი უკვე რა ხანია ცდიან ძალებს **ალექსანდრე ჩივაძე** და **თენგიზ სულაქველიძე.** ორივე სპორტსმენი ნაკრების 25-კაციან ჯგუფშია და ახლა ყველაფერი თვით ამ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, დაიმკვიდრებენ თუ არა ადგილს იმ 17 სპორტსმენს შორის, რომლებიც ოლიმპიადაში იასპარეზებენ.

ქართული ფეხბურთი მარტო „დინამო“ როდია, უფრო სწორად „დინამო“ ქართული ფეხბურთის წყაროებით შექმნილი წყალუხვი მდინარეა და ამიტომ მართებელი არ იქნებოდა არ დაგვენახა ის, რაც რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარებას ერთგვარად აფერხებს. ახლა, როცა პირველ ლიგაში ორი გუნდი, მეორე ლიგაში — შვიდი და საქართველოს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებში მონაწილე რამდენიმე ათეული კოლექტივი გვყავს, თითქოს საფუძველს უნდა გვაძლევდეს ვიფიქროთ, რომ ყველაფერი რიგზეა. სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე არ არის.

თუნდაც ის, რომ მოზარდთა გუნდებიდან ოსტატთა კოლექტივებამდე მომავალ გზაზე ანალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელები როგორღაც თვალთახედვიდან გვეკარგებიან, და ეს იმ დროს, როცა სხვადასხვა საკავშირო ასპარეზობაში რესპუბლიკის მოზარდთა გუნდები ყოველწლიურად არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ოსტატობის ნაცვლად მოედანზე სპორტსმენისთვის შეუფერებელ საქციელს ავლენს. ზოგ რაიონში ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი კადრების აღზრდაზე, ფეხბურთელთა მოზიდვასა და მათი ოსტატობის დახვეწაზე, სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებაზე ზრუნავდნენ, მხოლოდ სადღეისო ამოცანების გადაწყვეტით ცდილობენ რაიონის წარმოჩენას.

ᲫᲘᲣᲓᲝ. ამ სახეობაში საქართველოს ჯერჯერობით ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს: **შოთა ჩოჩიშვილი!** მან ეს საპატიო წოდება ქვემძიმე წონის ძიუდოისტებს შორის **მიუნხენში** (1972 წელი) მოიპოვა. აქვე **გივი ონაშვილმა** (მძიმე წონა) III საპატიო ადგილი დაიკავა. ქართველმა ძიუდოისტებმა მანამდეც იასპარეზეს ოლიმპიადებში: ტოკიოში (1964) **ანზორ კოკნაძემ** და **ფარნაოზ ჩიკვილაძემ** (ორივე მძიმე წონა) ბრინჯაოს მედლები მიიღეს. **მონრეალში** (1976) **რამაზ ხარშილაძემ** (ქვემძიმე) ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, **შოთა ჩოჩიშვილმა** (აბსოლუტური) კი — (1968) უძლიერესი **რომან რურუა** (ქვემსუბუქი) გახლდათ. **მიუნხენში** (1972) V ადგილი დაიკავა **ჯემალ მეგრელიშვილმა** (მსუბუქი წონა).

საქართველოს ნაკრებმა კოლექტივებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში შესაბამისად, IV, VI, II, IV, II, VI და IV ადგილები დაიკავეს.

ბოლო სპარტაკიადაში ჭიდაობის სახეობათაგან კლასიკური სტილის ჭიდაობა ერთადერთი სახეობის სპორტი იყო, რომელშიც წინსვლის ტენდენცია ვიგრძენით. წინა სპარტაკიადასთან შედარებით ორი ადგილით წავიწიეთ და, რაც მთავარია, არ ყოფილა წონითი კატეგორია, რომ საქართველოს ნაკრების წევრს ჩასათვლელი ქულა არ მოეპოვებინა. ათი მონაწილიდან ერთმა პირველი ადგილი, ერთმა (1968) უძლიერესი **რომან რურუა** (ქვემსუბუქი) გახლდათ. **მიუნხენში** (1972) V ადგილი დაიკავა **ჯემალ მეგრელიშვილმა** (მსუბუქი წონა).

საქართველოს ნაკრებმა კოლექტივებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში შესაბამისად, II, III, II, I, I, VI და IX ადგილები დაიკავეს. დაკვირდით ბოლო ორ სპარტაკიადაში ორ უკანასკნელ შედეგს: VI და IX ადგილები! ეს უკვე მარტო უკუდინამიკა როდია, იგი უფრო მეტი — ჩაგარდნაა, თანაც ისეთი, რომლის მერე ერთობ დიდი დროა საჭირო, რომ წელში გაიმართო. და ეს მოსდის რესპუბლიკას, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში ერთ დროს „მოდის კანონმდებელი“ იყო და სხვათა მასწავლებელიც, სარმასაც კარგად ვფლობდით, შეაკაურსაც და მოგვერდსაც...

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲚ, რამდენიმე საგაზეთო ნომერში ვისაუბრეთ ოცდაოთხივე ოლიმპიური სახეობის სპორტში მოსკოვის ოლიმპიადისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების თაობაზე, გავიხსენეთ წარსულ ოლიმპიადებში და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა. ზემოთ ნახსენებ რუბრიკას — — „ოლიმპიადა 80-ის მოლოდინში“ 1979 წლის 10 თებერვლიდან წინ უსწრებდა რუბრიკა „სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე“, შემდეგ ოვით სსრ კავშირის ხალხთა ბოლო, VII სპარტაკიადის მსვლელობა გავაშუქეთ. ცოტაც და ახლა უკვე მოსკოვის ოლიმპიადის მსვლელობაზე მოგაწვდით ცნობებს. თითქმის წლინახევრის განმავლობაში მეთხვეულს დროდადრო მოვუთხრობდით, რომ საამაყოც ბევრი გვაქვს (და კიდევაც გვაქვს), დიდი საფიქრალიც და ათასი დასაკვნაც გამოსატანი. სხვანაირად წინსვლა ძნელია, მით უმეტეს, როცა ჯერ კიდევ რიგ სახეობათა სპორტში უაზრავი ნაკლი გვაქვს, უფრო მეტიც, ამ სფეროში არც ნეგატიური მოვლენებიდან ვართ თავისუფალი. სწორედ ამიტომ ეკუთვნის უაზროდ მუშამბენ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის საქმეს.

ახლა ბავშვთა შორის ნიჭიერთა შერჩევის ერთიანი მეთოდიკა გვაქვს შემუშავებული. მის სპეციფიკაზე ამჯერად არ ვილაპარაკებთ, მაგრამ ვიტყვით, რომ იგი ამართლებს და ერთიანი მეთოდიკის საყოველთაოდ გამოყენება ქალაქად თუ სოფლად უთუოდ სასურველ შედეგებს მოგვიტანს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენი მწვრთნელების მოვალეობაა ფეხდაფეხ მისდევდნენ კლასიკური ჭიდაობის განვითარების ამჟამინდელ ტენდენციებს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ,

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

— ათასგზის მართალი არიან ისინი, ვისაც მიაჩნიათ, რომ ამჟამად ჩვენ თავისუფალ ჭიდაობაში გამოკვეთილი და ხალასი ტალანტი არა გვყავს. ცხადია, თუ არ ჩავთვლით ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს ლევან თედიაშვილსა და გიორგი მაკასარაშვილს. რამ ფუძა აგვინაზღაუროს ეს დანაკლისი? უპირველესად შრომამ და გარჯამ ყველა უბანზე, სპორტულ სექციებში ქალაქად თუ სოფლად, იმ სპორტსაზოგადოებებში, სადაც მოჭიდავეთა აღზრდისათვის თითქმის არა ზრუნავენ (ასეთი საზოგადოებები კი უმრავლესობას შეადგენს). უნდა ავმოძრავდეთ, ვიზრუნოთ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ჯეროვანი ამაღლებისათვისაც. მარტო თავისი საქმის კარგად მცოდნე მწვრთნელი ყველაფერს ვერ გადაწყვეტს, იგი ამავე დროს ნამდვილი პედაგოგის უნარ-თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული, აღსაზრდელებთან, როგორც შვილებთან, ისე უნდა იყოს შესისხლხორცებული.

თბილისში მრავალი უმაღლესი დაოსტატების სკოლაა, ასეთი სკოლა მოჭიდავეებსაც აქვთ, გვაქვს შესანიშნავი ფალავანთა კლუბი და მისი კარი ყველა ნიჭიერისათვის ღიაა...



Გ. ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ.



Ა. ᲫᲝᲠᲘᲫᲔ.



Რ. ᲠᲣᲠᲣᲐ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲘᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ. დაიბადა 1925 წლის 29 მარტს; 1951 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; 1957 წლიდან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში; 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონია; დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ (1957 წელს) ორდენით.

ᲗᲘᲠᲘᲐᲜ ᲪᲐᲚᲩᲐᲚᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ. დაიბადა 1927 წლის 20 აპრილს; 1957 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; თავისუფალ ჭიდაობაში 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონია; დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ (1957) ორდენით.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. დაიბადა 1948 წლის 15 მარტს; 1971 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია (1972 — მიუნხენი და 1976 — მონრეალი); დაჯილდოებულია ლენინის (1976) და „საპატიო ნიშნის“ (1972) ორდენებით.

ᲒᲘᲠᲒᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ. დაიბადა 1929 წლის 29 მარტს; 1953 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; კლასიკურ ჭიდაობაში 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონია; დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1957) და „საპატიო ნიშნის“ (1966) ორდენებით.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ. დაიბადა 1935 წლის 15 აპრილს, გარდაიცვალა 1966 წლის 12 აპრილს; 1960 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება; კლასიკურ ჭიდაობაში 1960 წლის რომის ოლიმპიადაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა. 1960 წელს დაჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ. დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს; 1966 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; კლასიკურ ჭიდაობაში 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონია; დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ (1969) ორდენით.

ᲨᲝᲗᲐ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ. დაიბადა 1950 წლის 10 ივლისს; 1972 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; ძიუდოში 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონია; დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ (1972) ორდენით.



Შ. ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲡ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲔᲠᲛᲘᲡᲝᲛᲔ? „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ, ᲫᲘᲣᲓᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ:

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ,

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი.

— რაც შეეხებათ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს, მათი ვინაობა უკვე ყველამ იცის. ახლა მთავარია, შეინარჩუნებენ თუ არა ისინი გუნდში ადგილს. როგორც ფეხბურთის სპეციალისტებთან საუბარში გაირკვა, ბრაზილიაში გამართულ მატჩში ქართველ ოლიმპიელთაგან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ალექსანდრე ჩივაძემ.

ჩვენი ამოცანა მარტო მოსკოვის ოლიმპიადით როდი შემოიფარგლება. მის მომდევნო პერიოდში კიდევ მეტი მუშაობა გვმართებს რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარებისათვის. საქართველოს პირველობაში, პირველ და მეორე ლიგაში მოსასპარეზე გუნდების მწვრთნელებს მეტი გარჯა მართებთ. საიდუმლო არ არის, რომ ხშირად ახალგაზრდა ფეხბურთელების შემდგომ დაოსტატებაში მოვიკოჭლებთ, ბევრი ნაკლი გვაქვს მათი ტექნიკური, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადების საქმეში. მწვრთნელთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ გუნდებში ადგილობრივი კადრების დამკვიდრებისა და მათი ტექნიკური ოსტატობის დახვეწისათვის. გარდა ამისა, დადგა იმის ჯერიც, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებები მივიღოთ ფეხბურთელთა შორის დისციპლინის დონის ამაღლებისათვის.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

— უკანასკნელ სპარტაკიადაში მიღებული გაკვეთილი, მართლაც რომ, მწარეც იყო და მოულოდნელიც. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გეგმები დავსახეთ. მას შემდეგ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტებმა 32 მედალი მოიპოვეს. მეგალოგიური თუ ფსიქოლოგიური მომზადების საქმეში. მწვრთნელთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ გუნდებში ადგილობრივი კადრების დამკვიდრებისა და მათი ტექნიკური ოსტატობის დახვეწისათვის. გარდა ამისა, დადგა იმის ჯერიც, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებები მივიღოთ ფეხბურთელთა შორის დისციპლინის დონის ამაღლებისათვის.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ,

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში და მოჭიდავეთა უმაღლესი დაოსტატების სკოლის დირექტორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

— კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების ოთხი კანდიდატი გვყავს—ვახტანგ ბლაგიძე, თემურ ყაზარაშვილი, თემური აფხაზავა და ნიკო ბაბიაშვილი. ამათგან ბლაგიძეს მოსკოვის ოლიმპიადაში ასპარეზობის ყველაზე რეალური შანსები აქვს. გამორიცხული არ არის, რომ ეს უფლება მოიპოვოს ყაზარაშვილმაც, რომელიც ამ ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო ხვეწს ოსტატობას.

აღნიშნულ მოჭიდავეებს და კიდევ ბევრ ახალგაზრდას სამერმისო—სასპარტაკიადო ამოცანებიც აქვთ გადასაწყვეტი. მართალია, შემვიდე სპარტაკიადა ურიგო — შედეგებით არ დაგვიმთავრებია, ორი ადგილით წავიწიეთ და არც ის იქნება ურიგო, რომ ეს ტრადიციად ვაქციოთ და მომავალში კიდევ ორი ადგილით გავუსწროთ მეტოქეებს. ამის საფუძველი არსებობს, ვინაიდან საქართველოს ნაკრების მწვრთნელები შეხმატკბილებულად მუშაობენ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის საქმეს.

ახლა ბავშვთა შორის ნიჭიერთა შერჩევის ერთიანი მეთოდიკა გვაქვს შემუშავებული. მის სპეციფიკაზე ამჯერად არ ვილაპარაკებთ, მაგრამ ვიტყვით, რომ იგი ამართლებს და ერთიანი მეთოდიკის საყოველთაოდ გამოყენება ქალაქად თუ სოფლად უთუოდ სასურველ შედეგებს მოგვიტანს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲠ